განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 04. 02. 2019

დასკვნის წარდგენის თარიღი: 01. 03. 2019

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201951637
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი - 0705
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ტარიელ სიხარულიძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ხვიჩა ბერიძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ფირცხელანი - კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

  "საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ" აკრედიტაცია გაიარა 2014 წელს. აღნიშნული პერიოდიდან რეაკრედიტაციამდე პროგრამაში განხორციელდა გარკვეული ცვლილებები, რაც დადებითად აისახა მის სტრუქტურაზე. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც 2014 წელს, ასევე აღნიშნული აკრედიტაციის შემთხვევაში, გასაძლიერებელია უშუალოდ საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება. პროგრამის ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს უსაფრთხოების კვლევების მიმართულებით წარმოდგენილი კურსების მრავალფეროვნება.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  აკრედიტაციის ვიზიტი მიმდინარეობდა კარგად ორგანიზებულ სამუშაო გარემოში. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი კომისიას დახვდა მომზადებული. აღსანიშნავია უნივერსიტეტის მზაობა მოეწოდებინათ ყველა საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტები კომისიის მოთხვნისთანავე. შეხვედრები სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან და დამსაქმებლებთან მიმდინარებოდა დღის წესრიგის გათვალისწინებით. დათვალიერებულ იქნა პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  პროგრამა მეტწილად შეესაბამება შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს. პროგრამის გაძლიერების მიზნით შემუშავდა გარკვეული რეკომენდაციები და რჩევები რაც, ქვემოთ იქნება მოყვანილი.

- **რეკომენდაციები**

მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროგრამის მიზნების მიღწევის მექანიზმების უფრო ნათლად განმარტება და მათი მიღწევადობის შესაძლებლობის შესაბამისი დოკუმენტაციით გამყარება.

ინგლისური ენის B2 დონის სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში მიღების წინაპირობად მოთხოვნილ იქნას აღნიშნული სერტიფიკატის საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობა (მაგალითად TOEFEL, IELTS, შესაბამისი ქულებით).

გადახალისდეს „საქამიანი კომუნიკაციების" და „პრაქტიკის" კურსების სილაბუსები. ასევე გადაიხედოს და შესაბამისობაში იქნას მოყვანილი თითოეული სასწავლო კურსის მიზან-შედეგობრივი კავშირი და აღნიშნული შესაბამისად აისახოს შედეგების შეფასების რუკაში.

შემდგომში მეტად გაკონტროლდეს პრაქტიკის ანგარიშების შევსება პრაქტიკის საგნის ხელმძღვანელის მხრიდან. წარმოდგენილი იყოს ყველა იმ სტუდენტის პრაქტიკის ანგარიში ვინც კი პრაქტიკას გაივლის უნივერსიტეტში სწავლის დროს.

სასურველია უნივერსიტეტში არსებობდეს ბაზა, რომელიც ასახავს კვლევითი პროექტების ანგარიშებს და განსაკუთრებით, თუ რა სამუშაო ჰქონდათ გაწეული სტუდენტებს აღნიშნული კველვით პროექტებში.

რეკომენდირებულია შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომების ერთიანი სტრუქტურა და გაუმჯობესდეს მეთოდოლოგიური ნაწილისა და თეორიული ჩარჩოს დახვეწის ეფექტური მექანიზმები.

კომისიას აღარ წარედგინოს დოკუმენტაცია უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ ყველა სატრენინგო ღონისძიებასთან დაკავშირებით, დოკუმენტები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მხოლოდ იმ ღონისიძიებებზე, რომლებიც მიმართულია აკადემიუირი, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარებაზე.

სასურველია, რომ უნივერსიტეტმა უზრინველყოს მეტი ტრენინგი აკადემიური პერსონალისათვის შემდეგ თემებზე:

- თანამედროვე სწავლების მეთოდები და მეთოდიკა;
- სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაცის ხელმძღვანელობა;
- სტატიების მომზადება ე.წ. “peer review” ჟურნალებისთვის.
-

რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტში სრულად გაიწეროს პროგრამისთვის გათვალისწინებული ხარჯები, ან პროგრამის ბიუჯეტთან ერთად დოკუმენტაციის სახით წარმოდგენილი იყოს უნივერსიტეტის ბიუჯეტის ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის განვითარების ხელშეწყობას.

სასურველია შემდგომში, რომ დოკუმენტაციაში არ იყოს დაშვებული ტექნიკური ხარვეზები, მაგალითად ჩანაწერი: “აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელისშემწყობი მატერიალური და ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტსა და უნივერსიტეტის ბიუჯეტში, ასევე სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში.” აღმოიფხვრას შეცდომები და ხარვეზები თვითშეფასების ანგარიშში, სასწავლო კურსების სილაბუსებში და სხვა თანდართულ დოკუმენტებში მათ შორის პროგრამის ბიუჯეტში და სწავლის შედეგების რუკაში. წარმოდგენილ დოკუმენტაციას დაემატოს კურსდამთავრებულთა კვლევისა და დამსაქმებელთა კვლევის ანგარიშები.

ჩვენი რეკომენდაციაა სავალდებულო კურსებს დაემატოს “საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის” კურსი, რაც დაფიქსირდა გარე შეფასების მექანიზმით

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

  - სილაბუსებში დაემატოს ინგლისურენოვანი თანამედროვე და წამყვანი ლიტერატურა. ამასთანავე სასურველია, სილაბუსების სავალდებულო ან არასავალდებულო ლიტერატურაში შეტანილი იქნას ლექტორის მიერ მომზადებული საკითხავი მასალა სტუდენტებისათვის (ლექტორის რიდერი).
  - სასურველია კურსების პრაქტიკული კომპონენტის შემცველი სწავლების მეთოდებით მეტად გაძლიერება.
  - სასურველია სასწავლო კურსების შეფასებისას გათვალისწინებული იქნას საგნის სპეციფიკა.

- სასურველია დამსაქმებლების (ასევე სახელმწიფო სექტორის) ჩართვა პროგრამის მონიტორინგში, შეფასებასა და განვითარებაში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პროგრამის მიზნებისა და შედეგების ბაზარზე ორიენტაციას.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
  საგანმანათლებლო პროგრამა გამოირჩევა უსაფრთხოების კვლევების კომპონენტის სიძლიერით. ასახავს უსაფრთხოების მიმართულებით საერთაშორისო ცოდნასა და გამოცდილებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ პროგრამა შემუშავებულია უსაფრთხოების ასპექტების კვლევაზე ორიენტირებული კოპენჰაგენის სკოლის საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით. ასევე უნივერსიტეტის მიერ დაწესებულია გარკვეული შეღავათები სტუდენტის სწავლის გადასახადის გადახდის პროცესზე. უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტმა მოახდინა ბიბლიოთეკის მოდერნიზაცია. ბიბლიოთეკის ინტერიერი საკმაოდ კარგადაა ორგანიზებული. თუმცა უნივერსიტეტის ზრდასთან ერთად ბიბლიოთეკის შემდგომი განვითარებაც იქნება გასათვალისწინებელი, საუბარია საბიბლიოთეკო ფონდის გამდიდრებაზე და ახალი სივრცის შექმნაზე.

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში წარმოდგენილი მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ძირითად მიმართულებას. პროგრამა საჯარო და ხელმისაწვდომია და გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. პროგრამის მიზანი ასახავს თუ რა სახის ცოდნის, კომპეტენციისა და უნარების მქონე კურსდამთავრებულების მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა. მიუხედავად ამისა, არასრულყოფილად ან შეცდომით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გამო რთულია მათი მიღწევადობის სრულად გაზომვა. კერძოდ, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაწილი შესაფასებელი პროგრამის ნაცვლად აღწერს სხვა პროგრამ(ებ)ის შესაბამისობას შრომის

ბაზართან და შეუძლებელს ხდის დადგინდეს ითვალისწინებს თუ არა პროგრამა ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და საერთაშორისო შრომის ბაზრის ტენდენციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ;
- დანართი №10 - შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზის დოკუმენტი.

რეკომენდაციები:

მიზანშეწონილად მიგვაჩნია პროგრამის მიზნების მიღწევის მექანიზმების უფრო ნათლად განმარტება და მათი მიღწევადობის შესაძლებლობის შესაბამისი დოკუმენტაციით გამყარება.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

საგანმანათლებლო პროგრამა გამოირჩევა უსაფრთხოების კვლევების კომპონენტის სიძლიერით. ასახავს უსაფრთხოების მიმართულებით საერთაშორისო ცოდნასა და გამოცდილებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ პროგრამა შემუშავებულია უსაფრთხოების ასპექტების კვლევაზე ორიენტირებული კოპენჰაგენის სკოლის საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის“ სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სილაბუსებში საერთაშორისო უსაფრთხოების თეორიებთან ერთად ნაწილობრივ განხილულია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული ასპექტები, პროგრამა საჭიროებს საერთაშორისო ურთიერთობების თეორიების კომპონენტის გაძლიერებას, რათა პროგრამის შედეგები სრულად შეესაბამებოდეს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ● შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსები; ● პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ● ინტერვიუ.
რეკომენდაციები: საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას „საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის“ კვალიფიკაციასთან სრული შესაბამისობისთვის, ესაჭიროება სავალდებულო კურსის სახით „საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის“ დამატება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია პროგრამას ასევე დაემატოს კურსი “საგარეო პოლიტიკის ანალიზი”.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		☑		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის მიღების წინაპირობები და პროცედურები მეტწილად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, არის საჯარო და ხელმისაწვდომი. პროგრამაში 2018 წელს განხორციელებული ცვლილების შესაბამისად ერთ-ერთ მისაღებ კრიტერიუმად განისაზღვრა ინგლისური ენის B1 დონის ნაცვლად ინგლისური ენის B2 დონე. გამოცდისაგან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს აღნიშნული დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს, თუმცა მიღების წინაპირობები არ ამოწმებს წარმოდგენილი სერტიფიკატის ვალიდურობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ● უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ● პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ● ინტერვიუ.
რეკომენდაციები: ინგლისური ენის B2 დონის სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში მიღების წინაპირობად მოთხოვნილ იქნას აღნიშნული სერტიფიკატის საერთაშორისო მოთხოვნებთან შესაბამისობა (მაგალითად TOEFEL, IELTS, შესაბამისი ქულებით).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ● პროგრამის შინაარსის შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის სტრუქტურა მეტწილად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, უნდა აღნიშნოს, რომ პროგრამა უმტესწილად ორიენტირებულია უსაფრთხოების კომპონენტზე და ჩვენი აზრით გასაძლიერებელია საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება, რათა სრულად იყოს უზრუნველყოფილი პროგრამის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან შესაბამისობა. ● პროგრამის მიზანია მოამზადოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სპეციალისტები, მკვლევარები და დიპლომატები. უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა დიპლომატებს ვერ მოაზადებს. ვფიქრობთ, რომ ვერც ერთი საგანმანათლებლო პროგრამა ვერ უზრუნველყოფს პროფესიონალი დიპლომატის მომზადებას, რადგან, ჩვენი აზრით, ეს საჭიროებს დიპლომატიური საქმიანობის მრავალწლიან გამოცდილებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ● უნივერსიტეტის ვებ-გვერდი; ● პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ● ინტერვიუ.
რეკომენდაციები: ● პროგრამაში ცალკე, სავალდებულო საგნად დაემატოს "საერთაშორისო ურთიერთობების თეორია"; ● ამოღებული იქნას სიტყვა "დიპლომატებს" პროგრამის მიზნებიდან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია პროგრამას დაემატოს კურსი "საგარეო პოლიტიკის ანალიზი".
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) პროგრამის მნიშვნელოვან მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს უსაფრთხოების კვლევების მიმართულების განვითარება.
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სპეციალობის თოთოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები მეტწილად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, გარდა „საქამიანი კომუნიკაციების" და „პრაქტიკის" კურსისა. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის დოკუმენტში სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების კავშირის რუკა უთითებს, რომ კურსი საქმიანი კომუნიკაციები გადის შემდეგ შედეგებზე: „პოლიტიკურ-ანალიტიკური დოკუმენტების შემუშავება," „საერთაშორისო ურთიერთობებში და საერთაშორისო უსაფრთხოებაში არსებული თეორიული ასპექტების კრიტიკული გააზრება," „მსოფლიო პოლიტიკის სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში განვითარებული მოვლენების ცოდნა და სათანადო ანალიზის გაკეთება." კურსის სილაბუსიდან, თემებიდან და ლიტერატურიდან გამომდინარე ეს მიღწევადი არ არის. სილაბუსში ხელმძღვანელობენ საქმიანი (ბიზნეს) ინგლისურის ლიტერატურით, რაც სცდება ზემოაღნიშნულ მიზნებს. რაც შეეხება პრაქტიკის სილაბუსს, იგი მოსარგებია იმ რეალობას, რაც პრაქტიკის კურსის თანახმადაა გაწერილი პროგრამაში. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი პრაქტიკის სილაბუსში გაწერილი აქტივობები ხშირ შემთხვევაში მხოლოდ საორიენტაციო ხასიათს ატარებს. მაგალითად: სილაბუსით გაწერილი 11-ე კვირის სამოქმედო გეგმა მოიცავს

მარკეტინგულ კვლევებს ორგანიზაციაში 12 საათის განმავლობაში. სავარაუდოდ სილაბუსის მიზნები და პრაქტიკის ობიექტის მიზნები (იმ ორგანიზაციის, სადაც სტუდენტი გადის პრაქტიკას) არ იქნება თანხვედრაში. გარდა ამისა, პრაქტიკის ანგარიშები იყოს შევსებული სრულად და რეალურად ასახავდეს იმ სამუშაოს, რომელსაც სტუდენტი ახორციელებს პრაქტიკის დროს. აქვე ხაზგასასმელია, რომ სილაბუსების სავალდებულო ლიტერატურაში ძირითადად მითითებულია ქართულენოვანი ლიტერატურა. იქედან გამომდინარე, რომ სამაგისტრო პროგრამის მიღების წინაპირობად B2 დონის ინგლისური ენის ცოდნა არის დადგენილი და ასევე, საერთაშორისო და უსაფრთხოების სამეცნიერო წამყვანი, თანამედროვე ლიტერატურა არის ძირითადად ინგლისურენოვანი, სასურველია, რომ სილაბუსებში მეტად გამოიყენებოდეს თანამედროვე ლიტერატურა და ორიგინალური ტექსტები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ● სილაბუსები ● პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ● ინტერვიუ
რეკომენდაციები: გადახალისდეს „საქამიანი კომუნიკაციების“ და „პრაქტიკის“ კურსების სილაბუსები. ასევე გადაიხედოს და შესაბამისობაში იქნას მოყვანილი თითოეული სასწავლო კურსის მიზან-შედეგობრივი კავშირი და აღნიშნული შესაბამისად აისახოს შედეგების შეფასების რუკაში. შემდგომში მეტად გაკონტროლდეს პრაქტიკის ანგარიშების შევსება პრაქტიკის საგნის ხელმძღვანელის მხრიდან. წარმოდგენილი იყოს ყველა იმ სტუდენტის პრაქტიკის ანგარიში ვინც კი პრაქტიკას გაივლის უნივერსიტეტში სწავლის დროს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სილაბუსებში დაემატოს ინგლისურენოვანი თანამედროვე და წამყვანი ლიტერატურა. ამასთანავე სასურველია, სილაბუსების სავალდებულო ან არასავალდებულო ლიტერატურაში შეტანილი იქნას ლექტორის მიერ მომზადებული საკითხავი მასალა სტუდენტებისათვის (ლექტორის რიდერი).
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში სტუდენტებს აქვთ საშუალება გაიარონ პრაქტიკა შესაბამის დარგობრივ სტრუქტურებში, რასაც ხელს უწყობს მოცემულ უწყებებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები. აქვე აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჩართულები იყვენ საგრანტო კვლევით პროექტებში და მიიღონ მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში. თუმცა აქვე ხაზგასასმელია, რომ საჭიროა პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის მექანიზმის შემდგომი დახვეწა. ასევე სასურველია თანამშრომლობის გაძლიერება საქართველოში და საზღვარგარეთ მოქმედ კვლევით ცენტრებთან, ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელების მიზნით. სასურველია უნივერსიტეტში არსებობდეს ბაზა, რომელიც ასახავს კვლევითი პროექტების ანგარიშებს და განსაკუთრებით, თუ რა სამუშაო ჰქონდათ გაწეული სტუდენტებს აღნიშნული კვლევით პროექტებში.

პროგრამის ფარგლებში მისასალმებელია აქტიური თანამშრომლობა ევროპულ უნივერსიტეტებთან და უსაფრთხოების საერთაშორისო კვლევის ცენტრებთან. აქვე აღსანიშნავია, უნივერსიტეტის მიერ დაწესებული სამეცნიერო პრემია „თამარი“ ახალგაზრდა მეცნიერებისათვის, რაც ხელს შეუწყობს სამომავლოდ მოცემული პროგრამის სტუდენტების ჩართულობის ზრდას სამეცნიერო საქმიანობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ
- თანამშრომლობის მემორანდუმები.

რეკომენდაციები:

სასურველია უნივერსიტეტში არსებობდეს ბაზა, რომელიც ასახავს კვლევითი პროექტების ანგარიშებს და განსაკუთრებით, თუ რა სამუშაო ჰქონდათ გაწეული სტუდენტებს აღნიშნული კველვით პროექტებში.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) აღსანიშნავია ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერება მოცემული პროგრამის ფარგლებში, რაც გამოიხატება უსაფრთხოების კვლევებზე ორიენტირებულ ევროპულ უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან აქტიურ თანამშრომლობაში.
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების შედეგებს. აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ ისინი მეტწილად ახორციელებენ სილაბუსებში გაწერილ სწავლის მეთოდებს: შემთხვევის ანალიზი, ვიდეო მასალის გამოყენება, როლური თამაშები და სხვა. თუმცა სასურველია სილაბუსებში გაიზარდოს პრაქტიკული კომპონენტი „შემთხვევის ანალიზის“ „Case study“-ის და სხვა პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების გაძლიერებით, რისი სურვილიც გამოვლინდა სტუდენტების მხრიდან მათთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ● სილაბუსები; ● პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ● ინტერვიუ.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია კურსების პრაქტიკული კომპონენტის შემცველი სწავლების მეთოდებით მეტად გაძლიერება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, კანონმდებლობის შესაბამისად, თუმცა ყველა კურსის შეფასების კრიტერიუმები მსგავსია და მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ყოველკვირეული შეფასება, პრეზენტაცია, შუალედური და დასკვნითი შეფასება, რაც საბოლოო ჯამში ნაკლებ ეფექტურს ხდის შეფასების მექანიზმს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ● სილაბუსები; ● პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ● ინტერვიუ.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია სასწავლო კურსების შეფასებისას გათვალისწინებული იქნას საგნის სპეციფიკა.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☑		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტს მიეწოდება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა აუცილებელი ინფორმაცია. ასევე, ინფორმაცია მიმდინარე ან დაგეგმილი ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, გრანტების, კვლევების და გაცვლითი პროგრამების შესახებ. სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის ფარგლებში მოქმედებს დამატებითი უცხო ენის კურსები. აკადემიური პროცესების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სტუდენტების ანონიმური ონლაინ გამოკითხვა. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებს მჭიდრო უკუკავშირი აქვთ პროგრამაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • სილაბუსები; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუ სტუდენტებთან;

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტს აქვს შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში აიყვანოს თანახელმძღვანელი და იქონიოს რეგულარული კონსულტაციები ხელმძღვანელთან. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს რამდენიმე კვლევითი ცენტრი, რაც ხელს უწყობს მაგისტრანტებისა და ხელმძღვანელებს შორის აქტიურ თანამშრომლობას. რაც შეეხება სამაგისტრო ნაშრომებს, შეხვედრის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კურსდამთავრებულთა სამაგისტრო ნაშრომებს, სადაც გამოიკვეთა ნაშრომების განსხვავებული სტრუქტურა, სამაგისტრო ნაშრომებში თეორიული ნაწილის ნაკლებობა, ნაშრომების მეთოდოლოგიური ნაწილის და თეორიული ჩარჩოს დახვეწის აუცილებლობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუ სტუდენტებთან; • კურსდამთავრებულთა სამაგისტრო ნაშრომები.
რეკომენდაციები: რეკომენდირებულია შემუშავდეს სამაგისტრო ნაშრომების ერთიანი სტრუქტურა და გაუმჯობესდეს მეთოდოლოგიური ნაწილისა და თეორიული ჩარჩოს დახვეწის ეფექტური მექანიზმები.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალ ური მუშაობა	☑			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო

რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვას და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ჯეროვნად შესრულებას. პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის შემუშავებაში. პროგრამის სტუდენტები უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილი არიან შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. ასევე, აღსანიშნავია აკადემიური პერსონალის გამოცდილება და პირადი საერთაშორისო კონტაქტები, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის გაძლიერებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ● სილაბუსები ● პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ● ინტერვიუ.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o უნივერსიტეტის მიერ დაწესებულია გარკვეული შეღავათები სტუდენტის სწავლის გადასახადის გადახდის პროცესზე.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის

განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამეცნიერო და აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას ტრენინგებში და კვლევით საქმიანობაში ჩართვის გზით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოწოდებულ დოკუმენტაცია არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ აკადემიური პერსონალისათვის ჩატარებული ტრენინგებით. სასურველია, რომ აკადემიური პროგრამის შეფასების დროს უნივერსიტეტმა გარე შეფასებაში ჩართულ პირებს მიაწოდოს მხოლოდ კონკრეტული ინფორმაცია, თუ რა ტრენინგები უტარდება აკადემიურ პერსონალს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ● საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; ● პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ● ინტერვიუ.
რეკომენდაციები: კომისიას აღარ წარედგინოს დოკუმენტაცია უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ ყველა სატრენინგო ღონისძიებასთან დაკავშირებით, დოკუმენტები უნდა მოიცავდეს ინფორმაციას მხოლოდ იმ ღონისიძიებებზე, რომლებიც მიმართულია აკადემიუირი, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის განვითარებაზე. სასურველია, რომ უნივერსიტეტმა უზრინველყოს მეტი ტრენინგი აკადემიური პერსონალისათვის შემდეგ თემებზე: - თანამედროვე სწავლების მეთოდიკა; - სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაცის ხელმძღვანელობა; - სტატიების მომზადება ე.წ. “peer review” ჟურნალებისთვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა უზრუნველყოფილია სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის საჭირო მატერიალური და ტექნიკური რესურსით. პროგრამის სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ გამართული და მოდერნიზებული სასწავლო ინფრასტრუქტურით, უახლესი დარგობრივი ლიტერატურით აღჭურვილი ბიბლიოთეკით და ელექტრონული ბაზებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • უნივერსიტეტის მატერიალურ ტექნიკური ბაზა; • უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა • ელექტრონული სამეცნიერო ბაზები. • ლიტერატურის შესყიდვის დოკუმენტაცია
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტმა მოახდინა ბიბლიოთეკის მოდერნიზაცია. ბიბლიოთეკის ინტერიერი საკმაოდ კარგადაა ორგანიზებული. თუმცა უნივერსიტეტის ზრდასთან ერთად ბიბლიოთეკის შემდგომი განვითარებაც იქნება გასათვალისწინებელი, საუბარია საბიბლიოთეკო ფონდის გამდიდრებაზე და ახალი სივრცის შექმნაზე.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის მზაობა და დაფინანსების მექანიზმის მოქნილობა. მიუხედავად ამისა პროგრამის წარმოდგენილ ბიუჯეტში პროგრამის განვითარების მიზნით დაგეგმილი ფინანსური ხარჯები სრულყოფილად არ არის ასახული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის ბიუჯეტი; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუ
რეკომენდაციები: რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტში სრულად გაიწეროს პროგრამისთვის გათვალისწინებული ხარჯები, ან პროგრამის ბიუჯეტთან ერთად დოკუმენტაციის სახით წარმოდგენილი იყოს უნივერსიტეტის ბიუჯეტის ის ნაწილი, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის განვითარების ხელშეწყობას. სასურველია შემდგომში, რომ დოკუმენტაციაში არ იყოს დაშვებული ტექნიკური ხარვეზები, მაგალითად ჩანაწერი: "აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელების ხელისშემწყობი მატერიალური და ფინანსური რესურსები გათვალისწინებულია მედიცინის ფაკულტეტის ბიუჯეტსა და უნივერსიტეტის ბიუჯეტში, ასევე სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში."
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		☑		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. აღნიშნული პერსონალი ასევე იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის, თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნებოდა პროგრამასთან შეუსაბამო ან არასრულყოფილი დოკუმენტაციის არსებობა. მაგალითად, პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში არასწორად არის დათვლილი შედეგი კომპონენტები: "სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით (ბოლო 5 წლის განმავლობაში; მოქმედი პროგრამის შემთხვევაში)" სწავლის შედეგები რუკაში ზოგ საგანს (მაგალითად ასგნები "საქმიანი კომუნიკაციები," "პოლიტიკის თეორია," "დიპლომტაია და მსოფლიო პოლიტიკური პროცესები") არაქვს ჯეროვნად განსაზღვრული სასწავლო კურსებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის კავშირი, რაც დასახვეწია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია; • ინტერვიუ
რეკომენდაციები: აღმოიფხვრას შეცდომები და ხარვეზები თვითშეფასების ანგარიშში, სასწავლო კურსების სილაბუსებში და სხვა თანდართულ დოკუმენტებში მათ შორის პროგრამის ბიუჯეტში და სწავლის შედეგების რუკაში. წარმოდგენილ დოკუმენტაციას დაემატოს კურსდამთავრებულთა კვლევისა და დამსაქმებელთა კვლევის ანგარიშები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა მეტწილად ითვალისწინებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს, რაც გამოიხატება კურსების დახვეწაში და ლიტერატურით განახლებაში. მიუხედავად ამისა, გათვალისწინებული არ არის ზოგიერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია. კერძოდ, 2014 წელს პროგრამაში არსებული სავალდებულო კურსის „საერთაშორისო ურთიერთობები და თანამედროვე პოლიტიკური პროცესები“ პროგრამიდან ამოღებულია, თუმცა რეკომენდაცია იყო, რომ კურსი გამდიდრებულიყო სამაგისტრო საფეხურისათვის შესაბამისი ლიტერატურით და მოსულიყო განათლების სამაგისტრო დონესთან შესაბამისობაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; • საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის 2014 წლის აკრედიტაციის დასკვნა; • ინტერვიუ.
რეკომენდაციები: ჩვენი რეკომენდაციაა სავალდებულო კურსებს დაემატოს “საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის” კურსი, რაც დაფიქსირდა გარე შეფასების მექანიზმით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება. სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებულმა შეხვედრებმა აჩვენა, რომ ისინი აქტიურად არიან ჩართული პროგრამის პერიოდული შეფასების პროცესებში. ინტერვიუებმა დამსაქმებლებთან გამოავლინა, რომ ნაწილი იცნობს პროგრამას, ხოლო ნაწილი პროგრამას საერთოდ არ არის გაცნობილი. სასურველია, რომ ყველა დაინტერესებული მხარე სრულყოფილად იქნას ჩართული აღნიშნულ პროცესებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და შესაბამისი თანდართული დოკუმენტაცია; • ინტერვიუ;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია დამსაქმებლების (ასევე სახელმწიფო სექტორის) ჩართვა პროგრამის მონიტორნიგში, შეფასებასა და განვითარებაში, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს პროგრამის მიზნებისა და შედეგების ბაზარზე ორიენტაციას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		☑		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 26

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		☑		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		☑		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☑			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		☑		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		☑		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ტარიელ სიხარულიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ხვიჩა ბერიძე



ნანა ფირცხელანი